ქალაქ თბილისის მერია

2392213
11/14153645-17
10.06.2014

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 177
თარიღი: 13 06 2014 წ.

GRASS ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" (-406077579),
ქ.თბილისი რაზმაძის ქ.#15

თქვენს მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, ქ. თბილისის მერიაში შემოტანილი 2014 წლის 2 ივნისის №11/14153645-17 წერილის პასუხად გაცნობებთ ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, კერძოდ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს ურბანული ტრანსპორტის მდგრადი განვითარების საინვესტიციო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. თბილისში მეტროს სადგურების „ვაჟა-ფშაველას გამზირი“-„უნივერსიტეტის“ დამაკავშირებელი გვირაბისა და ,,უნივერსიტეტის'' სადგურის მშენებლობა და რომელსაც ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №150).

ამასთან გაცნონებთ, რომ 2003–2012 წლებში „ვაჟა-ფშაველას გამზირის“ -„უნივერსიტეტის“ დამაკავშირებელი გვირაბისა და ,,უნივერსიტეტის'' სადგურის სამშენებლო სამუშაოები სამსახურის მიერ არ განხორციელებულა.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახური / საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება
საქალაქო სამსახურის განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი

ქალაქ თბილისის მერია

2386438
11/14153623-17
06.06.2014

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 173
თარიღი: 10 06 2014 წ.

GRASS ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" (-406077579),
ქ.თბილისი რაზმაძის ქ.#15

ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 02.06.14 №11/14153623-17 წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 14.04.2014 №289 დადგენილების საფუძველზე დედაქალაქში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს გაეწიათ ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 400(ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო ამ ომში დაღუპულთა თითოეულ მარჩენალდაკარგულს 200(ორასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ ხსენებული მოქალაქეების სახელობითი სია მოგვაწოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა(შემდეგში სამსახური)-სულ 843 ბენეფიციარი; აქედან 116 მარჩენალდაკარგული და 727 ომის მონაწილე. გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 314000(სამას თოთხმეტი ათასი) ლარი.

აქვე გაცნობებთ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ბენეფიციარი გამორჩენილი იყო სამსახურის მიერ გამოგზავნილ ძირითად სიებში, ამიტომ პროგრამის ვადები განისაზღვრა მიმდინარე საბიუჯეტო წლით.

რაც შეეხება მონიტორინგის მექანიზმს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ვეყრდნობით სამსახურის მიერ გამოგზავნილ სიებს(საქართველოს მთავრობის 14.04.2014 №289 დადგენილება, მუხლი 4, პუნქტი „ბ“). ინფორმაციას ბენეფიციარებისთვის თანხების ჩარიცხვის შესახებ ოპერატიულად გვაწვდის „ლიბერთი ბანკი“ .

პატივისცემით

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
სოციალური მომსახურებისა და კულტურის
საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი

მამუკა ქაცარავა